

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ  
მეცნიერებათა ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამის დასახელება: სახვითი ხელოვნება  
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ხელოვნების ბაკალავრი (BA in Fine Art)

პროგრამის კოორდინატორი: ასოც. პროფესორი თამაზ ხუციშვილი

საბაკალავრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

პროგრამის მიზანი

პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია არა მარტო დარგის სპეციფიკა, არამედ ფაკულტეტის და უმაღლესი სასწავლებლის ხასიათი, სადაც ეს პროგრამა უნდა ამუშავდეს. პროგრამა მიზნად ისახავს შემოქმედის აღზრდას; ამ ორი ცნების გაერთიანება სრულიად არ არის ხელოვნური, არამედ თანამედროვეობის რეალიებს და მოთხოვნებს ითვალისწინებს. კარგი, თუნდაც დიდი მხატვრის ჩამოყალიბებას, აპრიორი სრულიად არ სჭირდება საუნივერსიტეტო გარემო და ცოდნის მიღება ეს პროცესი ძირითადად ინდივიდუალური ხასიათისაა და დაოსტატების რეჟიმის საწყისი ეტაპი ხშირ შემთხვევაში ემყარება სქემას “ოსტატი-შეგირდი”. მაგრამ ასეთი ვარიანტი გარკვეულ შეზღუდულობას შეიცავს განსაკუთრებით ეპოქის ჭრილში. ამის მთავარი მიზეზი როგორც მხატვრობის სპეციფიკაში, ისე სოციალურ დაკვეთაში ძვეს. მხატვრობის სპეციფიკაში იმ კუთხით, რომ “კარგ მხატვრად” ჩამოყალიბების გარანტიას (მითუმეტეს მასობრივად) ვერცერთი სასწავლო პროგრამა ვერ გასცემს: სოციალური დაკვეთაც აქედან გამომდინარეობს წინასწარ არავინ იცის, როგორი იქნება საზოგადოების მხრიდან მხატვრის ინდივიდუალურ შემოქმედებაზე მოთხოვნა. სწორედ ამ მოსაზრებიდან გამომდინარე ამოცანა შემდგომშია სასწავლო პროგრამის წარმატებით დასრულების შედეგად სტუდენტი შეიძენს ცოდნას და კვალიფიკაციას, რომელიც ინდივიდუალური შემოქმედებითი მოღვაწეობის გარდა, გამოადგება საზოგადოებაში პროფესიული ინტეგრირებისთვის. მისი დარგობრივი კომპეტენცია და უნარ-ჩვევები დაზღურ ფერწერასა და გრაფიკაში, მხატვრულ დიზაინში გამდიდრებული იქნება ჰუმანიტარის ფუნდამენტური განათლებით. აქ კვლავ უნდა გაესვას ხაზი დარგის სპეციფიკას და უნდა დასაბუთდეს მხატვრობის ვიწრო სპეციალობების საერთო ქუდის ქვეშ გაერთიანების მიზანშეწონილობა. სახვითი თუ გამოყენებითი ხელოვნების სფეროებში მოღვაწე მხატვრებისთვის არსებობს ფუნდამენტური ცოდნა და ტექნიკურ ჩვევათა კომპლექსი, რომელსაც პირობითად აკადემიური მხატვრობა შეიძლება დაერქვას და რომელიც ხატვის, ფერწერისა და სამგანზომილებიანი პლასტიკის (რა თქმა უნდა, სხვა და სხვა დოზირებით და

შეფარდებით) შესწავლას ემყარება. ხოლო ვიწრო სპეციალიზაცია იმ საგანთა შესწავლით განისაზღვრება, რომელიც კომპოზიციის ბლოკს განეკუთვნება. (აქ შეიძლება გამოვყოთ: ფერწერა, გრაფიკა, ტანსაცმლის მოდელირება და დეკორატიული ქსოვილების დიზაინი) თუმცა ზოგადად საბაკალავრო პროგრამის ერთიანობაზე არც სქემატურად, არც იდეაში ეს არ მოქმედებს და მხოლოდ დიპლომის დანართის საგანთა ჩამონათვალში აისახება.

<p>საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშავოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი დემონსტრირება შემდეგი მიმართულებებით</p>	<p>სწავლება, სწავლა და შეფასება</p>
<p><b>I. ცოდნა და გაცნობიერება</b></p> <p>1. სახვითი ხელოვნებისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების დარგების განვითარების ისტორიის ზოგადი ცოდნა.</p> <p>2. სახვითი ხელოვნების ძირითადი, ტრადიციული დარგების (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, არქიტექტურა) და გამოყენებითი ხელოვნების დარგების დამახასიათებელი ნიშან-თვისებების, ამოცანების და სტილისტიკის გარჩევა.</p> <p>3. სტუდენტი კარგად იცნობს დაზგური მხატვრობისთვის საჭირო მრავალფეროვან მასალას, მისი სწორად გამოყენების მეთოდებს. დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების დარგებისთვის (ტანსაცმლის მხატვრული მოდელირება, დეკორატიული ქსოვილის დიზაინი, ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინი) აუცილებელ სამუშაო ინსტრუმენტებს და დამხმარე მოწყობილობას, ასევე მასალას, რომლის დიზაინერულ გაფორმებაზე უხდება მხატვარს მუშაობა.</p> <p>4. მხატვრობის ტრადიციული მეთოდების ცოდნასთან ერთად სტუდენტი იცნობს თანამედროვე ტექნოლოგიებს სახვითი და დიზაინერული აზროვნების სფეროში კერძოდ კომპიუტერულ პროგრამებს, რომელიც ამ სფეროს ემსახურება.</p>	<p>აკადემიური მხატვრობა ფერწერული კომპოზიცია გრაფიკული კომპოზიცია მრავალფეროვანი კომპოზიცია</p> <p>სახვითი ხელოვნების საფუძვლები (ხატვა). სახვითი ხელოვნების საფუძვლები (ფერწერა) აკადემიური მხატვრობა ფერწერული კომპოზიცია გრაფიკული კომპოზიცია</p> <p>სახვითი ხელოვნების საფუძვლები (ხატვა). სახვითი ხელოვნების საფუძვლები (ფერწერა) აკადემიური მხატვრობა ფერწერული კომპოზიცია მრავალფეროვანი კომპოზიცია ფიგურატიული პლასტის სტილიზაცია ტესტი, შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია</p> <p>გრაფიკული კომპოზიცია ტანსაცმლის მხატვრული მოდელირება ტანსაცმლის თემატური კომპოზიცია ფიგურატიული პლასტის სტილიზაცია</p>

	ტესტი, შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია
--	---

3

<p>II ცოდნის პრაქტიკული გამოყენება / პრაქტიკული საგანმანათლებლო პროგრამის შესაძლებლობა</p> <p>სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშავოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი პრაქტიკული უნარების გამოიმუშავება პროგრამისთვის დედის ტრირება შემდეგი მიმართულებებით</p>	<p><b>სწავლება, სწავლა და შეფასება</b></p> <p>სახვითი ხელოვნების საფუძვლები (ხატვა). სახვითი ხელოვნების საფუძვლები (ფერწერა)</p>
<p>წარმოადგინოს კარგად და მხატვრების სურათებს და ამ სურათების კრიტიკულობის პრაქტიკულ გამოცდებს და აცნობიერებს კომპოზიციური უნარების მიმოხილვის სწავლების მიზნებს და ამ მიზნების მიხედვით დაეხმარება სტუდენტს, ისტრუქციონებს და დანერგოს დანერგვის სხვადასხვა მხარეების სწავლების უნდა დაეხმარება სტუდენტს უნარ-ჩვეულებების სტილისტური კანონიკა და შემოქმედების თავისუფლება.</p>	<p>აკადემიური მხატვრობა აკადემიური მხატვრობა ფერწერული კომპოზიცია ფერწერული კომპოზიცია ფერწერაში კომპოზიცია გრაფიკაში კომპოზიცია გრაფიკაში კომპოზიცია მრავალფეროვანი კომპოზიცია პრეზენტაცია ტესტი, ზეპირი და წერიტი გამოცდა, შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია</p>
<p>6. სტუდენტს შეძენილი აქვს სახვითი ხელოვნებისთვის ფუნდამენტური ცოდნა ფერის, ფორმის, ჩრდილისა და განათების, სივრცისა და სასურათე სიბრტყის ურთიერთდამოკიდებულების, მხატვრული იდეის და თემატიკის შემოქმედების საბოლოო პროდუქტთან დაკავშირების შესახებ.</p> <p>7. ესმის და აცნობიერებს სახვით ხელოვნებაში და დიზაინში კომპოზიციური აზროვნების მნიშვნელობას; აქვს მხატვრული კომპოზიციის სხვა და სხვა დარგში და მასალაში სტილისტური და მიზნობრივი დატვირთვის გათვალისწინებით გამოყენების ცოდნა.</p>	<p>სახვითი ხელოვნების საფუძვლები (ხატვა). სახვითი ხელოვნების საფუძვლები (ფერწერა) მხატვრ. კომპოზიციის საფუძვლები აკადემიური მხატვრობა ფიგურატიული პლასტიკა ფიგურატიული პლასტიკის სტილიზაცია შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია მხატვრ. კომპოზიციის საფუძვლები ფიგურატიული პლასტიკა თავისუფალი შემოქმედებითი კომპოზიცია გრაფიკაში ტანსაცმლის მოდელირების საფუძვლები, ტანსაცმლის მხატვრული მოდელირება დეკორატიული ქსოვილის დიზაინის საფუძვლები დეკორატიული ქსოვილის მასალაში შესრულება</p>

საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშავოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი დემოსტრირება შემდეგი მიმართულებებით	სწავლება, სწავლა და შეფასება
<p>2. სტუდენტი სრულყოფილად ფლობს აკადემიური ხატვის ტექნიკას და ხერხებს შეუძლია ნებისმიერი სირთულის მოდელის სწორი კონსტრუქციული გადმოტანა სასურათე სიბრტყეზე და მისი შემდგომი შუქ-ჩრდილული დამუშავება.</p>	<p>სახვითი ხელოვნების საფუძვლები (ხატვა) აკადემიური მხატვრობა ეტაპი). ფიგურატიული პლასტიკა შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია</p>
<p>3. სტუდენტი ფლობს ზეთის ფერწერის, აკვარელის, ტემპერისა და გუაშის ტექნიკას. მას შეუძლია ამ სახეობის საღებავების მრავალფეროვანი შესაძლებლობების გამოყენება დაზგურ და მონუმენტურ ფერწერაში (სასურათე სიბრტყის მასალისა და დანიშნულების მიხედვით მათი სწორად შერჩევიდან ტექნიკური და სტილისტური ნიუანსების შეჯერებამდე) და გრაფიკაში, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების ესკიზების შესაქმნელად.</p>	<p>სახვითი ხელოვნების საფუძვლები (ფერწერა) აკადემიური მხატვრობა ფერწერული კომპოზიცია ფიგურატიული პლასტიკა ფიგურატიული პლასტის სტილიზაცია თავისუფალი შემოქმედებითი კომპოზიცია ფერწერა შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია</p>
<p>4. შეუძლია სხვა და სხვა სამხატვრო ტექნიკის სინთეზისა ან მათი სამუშაოს შესრულების ეტაპების მიხედვით მონაცვლეობის მეშვეობით შექმნას მხატვრული პროდუქცია და შეასრულოს გაფორმებითი ხასიათის მხატვრული სამუშაო.</p>	<p>მხატვრ. კომპოზიციის საფუძვლ აკადემიური მხატვრობა I-II ეტაპი ები, ფერწერული კომპოზიცია გრაფიკული კომპოზიცია თავისუფალი შემოქმედებითი კომპოზიცია ფერწერაში</p>
<p>5. ტანსაცმლის დიზაინის სფეროში სტუდენტს შეუძლია ინდივიდუალური თემის არჩევისას შესაქმნელი კოსტიუმის სპეციფიკის ზედმიწევნით ცოდნის ბაზაზე შერეული ტექნიკის გამოყენებით შექმნას კოლექციის ესკიზური ვარიანტი. საკოლექციო</p>	<p>შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია ტანსაცმლის მოდელირების საფუძვლები ტანსაცმლის მხატვრული</p>

<p>მოდელირების კომპოზიციის საფუძველზე კოსტუმის საბაზისო კონსტრუქციის აგება და მასალაში შესრულება.</p>	<p>მოდელირება                    ტანსაცმლის თემატური                    კომპოზიცია მრავალფეროვანი კომპოზიცია საკოლექციო მოდელების დიზაინი შესრულებული                    სამუშაოს პრეზენტაცია</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშავოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი დემონსტრირება შემდეგი მიმართულებებით</p>	<p>სწავლება, სწავლა და შეფასება</p>

<p>6. დეკორატიული ქსოვილის დიზაინის დარგში შესრულებული კომპოზიციური ესკიზების საფუძველზე შეუძლია გადაიტანოს შაბლონზე და ქსოვილის რთული სპეციფიკური ტექნიკის გამოყენებით მასალაში შეასრულოს გობელენი და ბატიკა.</p> <p>7. თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების და პროგრამების (Adobe Photoshop, CorelDrow, AdobeIllustrator) ცოდნის საფუძველზე შეუძლია იმუშაოს მაკეტზე და მხატვრულად გააფორმოს ნებისმიერი ნაბეჭდი პროდუქცია, აგრეთვე გამოიყენოს ეს პროგრამები დამოუკიდებელი მხატვრული და დიზაინერული პროდუქციის შესაქმნელად.</p>	<p>დეკორატიული ქსოვილის დიზაინის საფუძვლები დეკორატიული ქსოვილის დაპროექტება დეკორატიული ქსოვილის მასალაში შესრულებაI</p> <p>გრაფიკული კომპოზიცია მრავალფეროვანი კომპოზიცია გრაფიკაში შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია</p>
<p><b>III. ზოგადტრანსფერული უნარები</b></p> <p>1. მხატვრობის სპეციფიკიდან გამომდინარე იდეის ჩამოყალიბების და სწორად გაანალიზების ეტაპი საბოლოო პროდუქციის შექმნის წარმატების აუცილებელი ბაზისია. ასეთი უნარის ჩამოყალიბება ხდება კომპლექსურად სწავლების მთელი პერიოდის მანძილზე და მიზნულია იდეის ხორცშესხმისათვის საჭირო პრაქტიკული უნარების განვითარებასა და თეორიული ცოდნის მიღებაზე. როგორც დამოუკიდებელი, დაზგური მხატვრული ნაწარმოების, ასევე დიზაინერული იდეაც დაკავშირებულია კომპოზიციურ აზროვნებასთან, რაც არა მხოლოდ საგნებისა და ფორმების სიბრტყობრივ და სივრცობრივ მანიპულირებას, არამედ ადამიანის აზროვნების, ქმედების და განწყობის შემოქმედებითად სინთეზირებას წარმოადგენს.</p> <p>2. სწავლის და პრაქტიკული მუშაობის სტრატეგიისა და დროის ორგანიზება სწავლების პერიოდში ბუნებრივად შეძენილი უნარია, რადგან მხატვრობის შესწავლა პროგრამის მიხედვით შედგება არაერთგვაროვანი მეთოდისგან (თეორიული ცოდნის მიღება, სახელოვნებო ტექნიკისა და უნარჩვევების განვითარება, მხატვრულ-კომპოზიციური აზროვნება) და ხარისხიანი მხატვრული პროდუქტის მიღებაც მხოლოდ სწორად გაწერილი ციკლების შესრულების შედეგად შეიძლება. განსაკუთრებით ეს ეხება დიზაინის სფეროს, სადაც</p>	<p>მხატვრ. კომპოზიციის საფუძვლები ფერწერული კომპოზიცია გრაფიკული კომპოზიცია ტანსაცმლის მოდელირების საფუძვლები დეკორატიული ქსოვილის დიზაინის საფუძვლები საკოლექციო მოდელების დიზაინი მრავალფეროვანი კომპოზიცია ტესტი, ზეპირი და წერიტი გამოცდა, შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია</p> <p>სახვითი ხელოვნების საფუძვლები (ხატვა). ფიგურატიული პლასტიკა თავისუფალი შემოქმედებითი კომპოზიცია ფერწერაში თავისუფალი შემოქმედებითი კომპოზიცია გრაფიკაში ტანსაცმლის თემატური კომპოზიცია საკოლექციო მოდელების დიზაინი მრავალფეროვანი კომპოზიცია ფიგურატიული პლასტიკის სტილიზაცია</p>

<p>დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი შემოქმედებითი იდეის დამკვეთისთვის მისაღები, წარმატებული მხატვრული ფორმის პროდუქციად გადაქცევის აუცილებლობაა.</p>	
<p>საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშავოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი დემონსტრირება შემდეგი მიმართულებებით</p>	<p>სწავლება, სწავლა და შეფასება</p>

<p>3. ტექნოლოგიური მოწყობილობების და ტექნიკის გამოყენებისა და ინფორმაციის მენეჯმენტის უნარი ვითარდება თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების და პროგრამების სწავლების გვერდით. მითუმეტეს, რომ მხატვრობის და დიზაინის სფეროში ასათვისებელი პროგრამები უფრო რთული და ტევადია, ვიდრე უბრალო საინფორმაციო პროგრამები. სტუდენტი ინფორმაციას იღებს აგრეთვე სასწავლო და დამხმარე ლიტერატურიდან, რომლის ნაწილი კლასიკური სახვითი ხელოვნების და მისი განვითარების შესწავლას ემსახურება აქედან გამომდინარე მას განსხვავებული ინფორმაცია მიეწოდება სხვა და სხვა ჭრილში და მათი შეჯერების და გაანალიზების უნარი უვითარდება ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ჩვევასთან ერთად.</p> <p>4. მხატვრობის წმინდა ინდივიდუალისტური სფეროების გამოკლებით (დაზგური ფერწერა და გრაფიკა და ა.შ.) ინტერდისციპლინარულ ჯგუფში მუშაობის ჩვევას სტუდენტი ეუფლება დიზაინის (ტანსაცმლის მოდელირება) ჯგუფში შემავალი საგნების დაუფლებისას.</p> <p>5. ავტონომიურად მუშაობის უნარი მხატვრის მოღვაწეობის ქვაკუთხედაა ყველა დარგში (ინტერდისციპლინარულ ჯგუფში მუშაობის ჩათვლით)</p>	<p>გრაფიკული კომპოზიცია თავისუფალი შემოქმედებითი კომპოზიცია გრაფიკაში ტანსაცმლის მხატვრული მოდელირება საკოლექციო მოდელების დიზაინი</p> <p>ტესტი, ზეპირი და წერიტი გამოცდა, შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია</p> <p>ფიგურატიული პლასტიკა ტანსაცმლის მოდელირების საფუძვლები ტანსაცმლის მხატვრული მოდელირება ტანსაცმლის თემატური კომპოზიცია I-IIეტაპი</p> <p><b>ყველა საგანი</b></p>
---	---

პროგრამის ძირითადი კურსი 120 კრედიტიანია, აქედან 75 კრედიტი ეთმობა სავალდებულო საგნებსა და საბაკალავრო ნაშრომს, არჩევითი საგნების წილია -45 კრედიტი

პროგრამის დამატებითი კურსი 60 კრედიტიანია, აქედან 40 კრედიტი ეთმობა სავალდებულო საგნებს 20 არჩევითს.

(იხ. დანართი)

**ძირითადი სპეციალობის არჩევის ვადა:** ოპტიმალური - მე-2, მე-3 სემესტრი, არაუგვიანეს მე-4 სემესტრისა.

**შეფასება:**

შეფასების სისტემა ასქულიანია და მოქნილობით ოპტიმალურია სახვითი ხელოვნების და დიზაინის სწავლებისთვის, რადგან სხვადასხვა პარამეტრების შეჯამების და დიფერენცირების საშუალებას იძლევა. დისციპლინა შედგება სხვა და სხვა კომპონენტებისგან და ისევ და ისევ მხატვრობის ინდივიდუალისტური სპეციფიკიდან გამომდინარე, მათი ფლობის თანაფარდობა არ მოითხოვს ზედმიწევნით შტამპირებას. პრაქტიკულ სეგმენტში პრიორიტეტული აქცენტები კეთდება კომპოზიციურ ხედვაზე და აზროვნებაზე ზოგადად, ხატვისა და ფერწერის ტექნიკისა და მასალის ფლობაზე.

სწავლების ფორმატის მიხედვით ჯამური შეფასების ჩამოყალიბება ასპექტების შემდეგი პროცენტული თანაფარდობით წარმოებს:

ლექცია-პრაქტიკუმებზე დასწრება: 10%

პრეზენტაცია-სემინარების შეფასება: 40% (25%+25%)

საბოლოო გამოცდა: 40% (დაიშვება სტუდენტი, რომელმაც პრეზენტაციებზე დააგროვა მინიმუმ 20 ქულა)

მინიმალური დამაკმაყოფილებელი შეფასება არის 51.

**მატერიალურ-ტექნიკური ბაზა**

პროგრამის სტრუქტურისა და სწავლების პრაქტიკული ხასიათის გამო აუცილებელია სწავლისათვის დამხამარე პირობები სპეციალიზირებული სტუდია-ლაბორატორიების და საინფორმაციო ტექნოლოგიური ცენტრის სახით. პროგრამა დარგობრივი კუთხით სწორედ ისეთნაირად არის შემუშავებული, რომ მაქსი-მალურად იქნას გამოყენებული არსებული დანადგარები, ტექნიკა, დამხარე ინვენტარი და აღჭურვილობა, მასში არ არის მინიშნება დიზაინის იმ დარგებზე, რისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უნივერსიტეტს არ გააჩნია.

1. სახვითი ხელოვნების სტუდია-ლაბორატორია (საერთო ფართი 350 კვადრატული მეტრი, გააჩნია მხატვრობისთვის ოპტიმალური ბუნებრივი განათების წყარო და მაღალი ჭერი) აღჭურვილია დაზგური ფერწერის და გრაფიკისთვის აუცილებელი ინვენტარით მოლბერტები, დაფები, ტუმბოები, სადგარები, თაბაშირის მარტივი და რთული მოდელები, ოფორტის დაზგა.
2. ტანსაცმლის დიზაინის სტუდია- ლაბორატორია აღჭურვილია საჭირო მანქანა-დანადგარებით: სამკერვალო საწარმოო დანიშნულების “ა” კლასის მანქანა (6 ერთეული) ოვერლოკის სპეც. მანქანა, ტრიკოტაჟის საქსოვი დაზგა, საკერავი მანქანა “ვერიტას”, საგამომჭრელო მაგიდეები შესატყვისი ინვენტარით.
3. კომპიუტერული გრაფიკის ლაბორატორია აღჭურვილია 5 კომპიუტერით.

**დასაქმების სფეროები:** პროგრამაში გათვალისწინებული ძირითადი სპეციალობის საგნები ისეთი თანმიმდევრობით და ურთიერთშეფარდებით არის სტრუქტურირებული, რომ სტუდენტი სავარაუდო დასაქმების სფეროებისთვის კარგად იქნება მომზადებული, იგი თავისი შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებას შეძლებს საზოგადოებრივ და ბიზნეს სექტორშიც: მასმედიაში, კულტურულ დაწესებულებაში, წარმოებაში, ყველგან სადაც ვიზუალური ფაქტორის ესთეტიზაცია და დახვეწა ჩამოყალიბებაა საჭირო.

სასწავლო პროგრამის წარმატებით დამთავრების შემდეგ სტუდენტს ექნება საკმარისი ცოდნა, კვალიფიკაცია და პრაქტიკული ჩვევები

1) დაზგური მხატვრობის (ფერწერა, გრაფიკა) დარგებში ინდივიდუალური შემოქმედებითი მუშაობისთვის

2) ტანსაცმლის დიზაინის და დეკორატიული ქსოვილების (ბატიკა, გობელენი, თექა) გაფორმების დარგებში, როგორც ინდივიდუალურად, ასევე სამოდელო სახლებთან და მსუბუქი მრეწველობის საწრმოებთან თანამშრომლობით.

3) საგამომცემლო სფეროში.

4) ნებისმიერ სფეროში, სადაც პროდუქციის, ობიექტის და პერფორმანსის მხატვრული და დიზაინერული გაფორმება არის საჭირო.

**სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:** პროგრამის დამთავრების შემდეგ სტუდენტი შეძლებს სწავლის გაგრძელებას, პირველ რიგში, ხელოვნების ჯგუფში შემავალ სამაგისტრო პროგრამებზე და ჰუმანიტარული მეცნიერებების ისეთ პროგრამებზე როგორცაა დასავლური და აღმოსავლური ფილოლოგიები, ისტორია, არქეოლოგია.